ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

განკარგულება:**გ-63. 63243598**

თარიღი:**24/12/2024**

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' 2025 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ**

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ III-თავის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის “ტ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის,IVთავის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განიხილა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის პროგრამის, ხარჯის, საშტატო განრიგის, სახელფასო ფონდის და მასწავლებელთა განაკვეთის გაანგარიშების დამტკიცების საკითხი და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის პროგრამა (დანართი №1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის შემოსავლების გეგმა სუბსიდიის ჩათვლით (დანართი №2).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის ხარჯი (დანართი №3).

4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (დანართი №4).

5. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 2025 წლის სახელფასო განრიგი და სახელფასო ფონდის გაანგარიშება (დანართი N5).

6. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის,

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ სკოლის მასწავლებელთა განაკვეთის გაანგარიშება (დანართი №6)

### *დანართი №1*

### *ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის პროგრამა*

**პროგრამის აღწერა**: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ პროგრამა გათვლილია დაწყებითი სამუსიკო განათლების სასწავლო გეგმაზე (სწავლის ხანგრძლივობა 6 წელი). იგი ემსახურება მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნების და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, რომელიც პიროვნებას საშუალებას აძლევს სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროგრამა ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესიულ სამუსიკო განათლებაზე, არამედ მოზარდთა თაობის ინტერესების და არჩევანის უფლების გათვალისწინებით. იგი მიღწევადია თითოეული მოსწავლისათვის სხვადასხვა ხარისხით. 2024-2025 სასწავლო წლის მდგომარეობით სკოლაში ირიცხება 73 მოსწავლე (გოგო 45;ბიჭი28) აქედან 3 მოსწავლე სოციალურად დაუცველია, სწავლის გადასახადი შეადგენს 7 ლარს თვეში, საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, სუბსიდიით კი ხელფასი და ხარჯები.

**მიზანი:** ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ, კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, მუსიკის მსმენელის, შემსრულებელ -მოყვარულის აღზრდა, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა გამოვლენა, კომპლექსური ცოდნა მუსიკის შესახებ, გამოიმუშაოს პირველადი საშემსრულებლო უნარ ჩვევები აღზარდოს ,,მსმენელი“. დაწყებითი სამუსიკო განათლების ამოცანებია საკრავით ან ხმით ინდივიდუალური მუსიკალური ჩვევების გამომუშავება. პროფესიული ხალხური მუსიკის მაღალმხატვრული ნიმუშების გაცნობა, მუსიკის მოსმენის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. მუსიკის შესახებ კომპლექსური ცოდნის მოწოდება. მონაწილეობის მიღება საჯარო გამოსვლაში.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლებისათვის.

**საბოლოო შედეგი:**

მუსიკალური ნიჭით გამორჩეული მოზარდთა გამოვლენა და მათი პროფესიული ზრდა.

დანართი N2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის’’ 2025 წლის შემოსავლების გეგმა (სუბსიდიის ჩათვლით)

| № | შემოსავლების დასახელება | თანხა (ათასი ლარი) |
|---|---|---|
| 1 | სუბსიდია ადგილობრივ ბიუჯეტიდან | 89,10 |
| 2 | საკუთარი შემოსავალი (მშობელთა შემონატანი) | 4,00 |

| | ჯამი | 93,10 |
|---|---|---|

დანართი N3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' 2025 წლის ხარჯები (ათასი ლარი)

| **0** | **ეკ. კლას. კოდი** | **ორგანიზაციული კოდი** | **სამტრედიის მუნიციპალიტეტი** | **სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან** | **2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები** | **2025 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები** |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | | **05 02 01 06** | **ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა** | **93,10** | **89,10** | **4,00** |
| **2** | **2** | | **ხარჯები** | **93,10** | **89,10** | **4,00** |
| **2** | **2.1** | | **შრომის ანაზღაურება** | **75,30** | **71,30** | **4,00** |
| **3** | **2.2** | | **საქონელი და მომსახურება** | **17,80** | **17,80** | **0,00** |

დანართი N4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' 2025 წლის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის გაანგარიშება (ლარი)

| № | დასახელება | საშტატო ერთეულის რ-ბა | ერთი თვის ხელფასი | ერთი წლის ხელფასი ბიუჯეტით | საკუთარი შემოსავლიდან | სულ წლიური ხელფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დირექტორი | 1 | 799 | 9588 | | 9588 |
| 2 | ბუღალტერი | 1 | 726 | 8712 | | 8712 |
| 3 | საქმისწარმოების სპეციალისტი | 1 | 436 | 5232 | | 5232 |
| 4 | მნე | 1 | 321 | 3852 | | 3852 |
| 7 | პედაგოგი | 7 | 3993 | 43916 | 4000 | 47916 |
| | სულ | 11 | 6275 | 71300 | 4000 | 75300 |

დანართი N5

ა.(ა).ი.პ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა პირთა 2025 წლის სახელფასო ფონდის გაანგარიშება (ლარებში)

| № | თანამდებობის დასახელება | თანამშრომელთა რაოდენობა | ერთი თვის ხელფასი | ერთი წლის ხელფასი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ინსტრუმენტის ამწყობი | 1 | 248 | 2976 |
| 2 | დამლაგებელი | 1 | 218 | 2616 |
| | სულ | 2 | 466 | 5592 |

დანართი N6

სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების მასწავლებელთა განაკვეთების გაანგარიშება

| № | დასახელება | 5 წლამდე | | 5-10 წელი | | 10 წლის ზევით | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განაკვეთი | ერთი საათის ღირებულება | განაკვეთი | ერთი საათის ღირებულება | განაკვეთი | ერთი საათის ღირებულება |
| 1 | საშუალო განათლება | 230,40 | 12,80 | 235,62 | 13,09 | 178,08 | 14,84 |
| 2 | სპეცილური საშუალო განათლება | 279,92 | 15,55 | 287,10 | 15,95 | 294,12 | 16,34 |
| 3 | ბაკალავრი | 306,87 | 17,05 | 313,95 | 17,44 | 321,04 | 17,83 |
| 4 | მაგისტრი | 369,46 | 18,55 | 340,92 | 18,94 | 347,99 | 19,33 |
| 5 | კანდიდატი დოქტორი | 369,46 | 20,53 | 380,77 | 21,15 | 432 | 24,00 |

7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 3900, ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. N6 ტელ: (411) 222727
RESPUBLIKA #6 SQUARE, SAMTREDIA, 3900, GEORGIA TEL: (411) 222727